დოქტორანტურა: სწავლა და კვლევა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

დოქტორანტურაში ჩარიცხვა

- დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება გასაუბრებისა და გამოცდის საფუძველზე, ორმხრივი ხელშეკრულების დადებისა და რექტორის მიერ ხელმოწერილი ჩარიცხვის ბრძანების შემდეგ.

დოქტორანტურაში სწავლა

- დოქტორანტურაში სწავლა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც განაწილებულია 6 სემესტრის, ანუ 3 სასწავლო წლის განმავლობაში.

დოქტორანტურის არეალი

- სადოქტორო პროგრამა
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
- სასწავლო დეპარტამენტი
- სადისერტაციო საბჭო

სადოქტორო პროგრამა

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშაობს 11 სადოქტორო პროგრამა, მათ შორის ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

- სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და სადისერტაციო თემის სათაურს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.
- ერთი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 5 (ხუთი) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

- დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

სემესტრული რეგისტრაციები



სემესტრული რეგისტრაციები



სამართლებრივი დოკუმენტები

- **დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი**
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #25/2011, 16 მარტი, 2011 (კოდიფიცირებული)
- https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/252011kod/
- **ძველი მინიმალური სტანდარტი**
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #249, 2009 წლის 16 ივლისი (კოდიფიცირებული)
- https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2009/2492009_kod//

სამართლებრივი დოკუმენტები

- **თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება** (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #75/2014, 2014 წლის 17 ივლისი)

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/debuleba-axali%20redaqcia.pdf

დოქტორანტურაში სწავლა

- 180 კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე:



დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

- დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად.
- თითოეული დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად ავსებს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს.

სასწავლო გეგმა

- დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას „დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ (ფორმა N1) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

დოქტორანტის კვლევითი გეგმა

- დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძ-ღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა N2) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

დოქტორანტის კვლევითი გეგმა

- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი გეგმების ფორმები

- სასწავლო და კვლევითი გეგმების ელექტრონული ფორმები ხელმისაწვდომია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე:
- https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/phd/ly6adz_hxpqzfhznl/wgcfke3pg1n54goam//

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებები

- დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები განმარტებულია თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით (დანართი 3):
- https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/25-2011-danarti3.pdf

სემესტრული ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ

- ყოველი სემესტრის ბოლოს დოქტორანტი ფაკულტეტის სამეცნიერო კველევებისა და განვითარების სამსახურში წარადგენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

სასწავლო კომპონენტი დოქტორანტურაში

- 60 სასწავლო კრედიტი მოიცავს:



სასწავლო კომპონენტი დოქტორანტურაში

- სავალდებულო სააუდიტორიო საგნები:
- აკადემიური წერა - 5 კრედიტი (მათთვის, ვისაც წინა საფეხურზე (მაგისტრატურაში) არ გაუვლია;
- მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი
- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი
- სულ: სავალდებულო საუდიტორიო საგნები: 15 კრედიტი

სასწავლო კომპონენტი დოქტორანტურაში

- არასაუდიტორიო სავალდებულო საგნები დოქტორანტურაში:

პროფესორის ასისტენტობა: 5 კრედიტი

დოქტორანტის სემინარი: 15 კრედიტი

პროფესორის ასისტენტობა

- თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს ასისტენტ პროფესორი/ასისტენტი/მასწავლებელი და ასრულებს მისთვის განსაზღვრულ მინიმალური სავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებულ სამუშაოს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში დოქტორანტურის მინიმალური საუნივერსიტეტო სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი)

პროფესორის ასისტენტობა შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან

1. სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) კოლოკვიუმის ტესტების მომზადება
2. სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) კოლოკვიუმების (შუალედური გამოცდები) ნაშრომების გასწორება
3. სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ფინალური გამოცდების ტესტების მომზადება
4. სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ფინალური გამოცდის ნაშრომების გასწორება

პროფესორის ასისტენტობის კომპონენტები

5. საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება
6. სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება
7. ელექტრონული სასწავლო კურსისთვის მასალების მომზადება
8. საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა
9. ტუტორობა

პროფესორის ასისტენტობა შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან

- 11. ლექცია “საბავშვო უნივერსიტეტში”
- 12. სემინარის ჩატარება

პროფესორის ასისტენტობის დაანგარიშება

- საკონტაქტო საათების რაოდენობა
- დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა
- ერთი კრედიტი უდრის 25 საათს
- დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება სესაბამისი კრედიტი.

- პროფესორის ასისტენტობას კოორდინირებას უწევს სადოქტორო პროგრამა:
- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
- სადოქტორო პროგრამის/მიმართულების პროფესორები

პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები

- **ფრიადი** - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა დავალება.
- **ძალიან კარგი** - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა დავალება, არ დაუშვია არსებითი შეცდომები.
- **კარგი** - დოქტორანტმა სრულად შეასრულა დავალება. მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.
- **დამაკმაყოფილებელი** - დოქტორანტმა დავალება დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ხარვეზებით შეასრულა.
- **საკმარისი:** დოქტორანტმა დავალება ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.
- **ვერ ჩააბარა** - დოქტორანტმა დავალება არასრულად შეასრულა. მისი მიდგომა მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა.
- **ჩაიჭრა** – დოქტორანტმა შეასრულა სამუშაოს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ ან არაადეკვატურად შეასრულა სამუშაო და/ ან არ შეასრულა დასმული ამოცანა.

პროფესორის ასისტენტობა

- პროფესორის ასისტენტობის შეფასების ფორმა (უწყისი) ივსება ელექტრონულად
- ანგარიში პროფესორის ასისტენტობის შესახებ
- https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/phd/ly6adz_hxpqzfhznl/wgcfke3pg1n54goam//

დოქტორანტის სემინარი

- სხვადასხვა სადოქტორო პროგრამაზე იქმნება სადოქტორო სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები.
- დოქტორანტის სემინარის ჩატარების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს, რათა დეტალური ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სემინარი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

დოქტორანტის სემინარი

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის დაწესებულია ერთი სავალდებულო სემინარი (15 კრედიტი და ერთი არჩევითი სემინარი (15 კრედიტი)

დოქტორანტის სემინარი

- სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია.
- დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

სასემინარო ნაშრომის მოცულობა

- დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის მოცულობა: მინიმუმ 15 გვერდი
- უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის სია
- ციტირება

სასემინარო ნაშრომის პარამეტრები

- შრიფტი: Acad Nusx, Sylfaen
- შრიფტის ზომა: 12
- სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5
- გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.
- დეტალური ინფორმაცია:

  ინსტრუქცია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

დოქტორანტის სემინარი

- დოქტორანტის სემინარის შეფასების კრიტერიუმები:
- რეცენზენტი (60 ქულა)
- პრესზენტაცია (40 ქულა)
- https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/phd/ly6adz_hxpqzfhznl/wgcfke3pg1n54goam//

არჩევითი საგნები:

ლიტერატურათმცოდნეობა

- შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) – 5 კრედიტი
- ბიბლია და ლიტერატურა - 5 კრედიტი

არჩევითი საგნები:

ენათმეცნიერება

- ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები - 10 კრედიტი
- კორპუსის ლინგვისტიკა - 5 კრედიტი

არჩევითი საგნები:

ისტორია

- ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია, მეხსიერების პოლიტიკა (კავკასია და აღმოსავლეთ ევროპა - შედარებითი შესწავლა) - 5 კრედიტი

არჩევითი საგნები

არქეოლოგია

- საველე პრაქტიკა დმანისის ქვის ხანის არქეოლოგიურ ძეგლზე - 5 კრედიტი
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგია არქეოლოგიაში - 5 კრედიტი

არჩევითი საგნები:

საინფორმაციო ტექნოლოგიები

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა - 10 კრედიტი

არჩევითი საგნები

სხვა ფაკულტეტების დოქტორანტურის საგნები

- პედაგოგიკა - 10 კრედიტი
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში, SPSS-ის ელემენტებით – 5 კრედიტი
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია- 5 კრედიტი

არჩევითი საგნები

არასააუდიტორიო საგნები

- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი, არჩევითი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი, არჩევითი 2
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი, არჩევითი

კვლევითი კომპონენტი

- 120 კრედიტი
- დოქტორანტის პირველი კოლოკვიუმი

20 კრედიტი

- დოქტორანტის მეორე კოლოკვიუმი

20 კრედიტი

დოქტორანტის კოლოკვიუმი

- დოქტორანტის კოლოკვიუმის ჩატარებას, საჯარო დაცვას კოორდინაციას უწევს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა ან მიმართულება, დოქტორანტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის პროფესორები.
- დოქტორანტის კოლოკვიუმის ჩატარების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს, რათა დეტალური ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლოკვიუმი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

დოქტორანტის კოლოკვიუმი

- დოქტორანტის კოლოკვიუმი არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი.
- დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოკვიუმის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

დოქტორანტის კოლოკვიუმი

- ნაშრომი სარეცენზიოდ ეგზავნება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს.

დოქტორანტის კოლოკვიუმის მოცულობა

- დოქტორანტის კოლოკვიუმის მოცულობა: მინიმუმ 25 გვერდი
- გამოყენებული ლიტერატურის სია
- დამოწმებები

დოქტორანტის კოლოკვიუმის პარამეტრები

- შრიფტი: Acad Nusx, Sylfaen
- შრიფტის ზომა: 12
- სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5
- გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.
- დეტალური ინფორმაცია:

ინსტრუქცია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

დოქტორანტის კოლოკვიუმი

- დოქტორანტის კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებით იხილეთ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე:
- https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/phd/ly6adz_hxpqzfhznl/wgcfke3pg1n54goam//

კვლევითი კომპონენტი

- დისერტაციის მომზადება და დაცვა

80 კრედიტი

დოქტორანტის სტატუსი

- აქტიური, სწავლობს
- შეჩერებული სტატუსი
- შეწყვეტილი სტატუსი

დოქტორანტის აქტიური სტატუსი

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია
- აკადემიური რეგისტრაცია

დოქტორანტის შეჩერებული სტატუსი

- ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო.
- სტატუსის შეჩერება ხდება სემესტრის ადმინისტრაციული და აკადემიური ვადების დასრულების შემდეგ.
- გამოიცემა რექტორის სპეციალური ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებ.

დოქტორანტის შეწყვეტილი სტატუსი

- სტატუსის შეწყვეტა (გარიცხვა).
- მობილობით გადასვლის შემთხვევაში
- დოქტორანტურის დასრულების (ხარისხის მინიჭების შემთხვევაში).
- პირადი განცხადებით მიმართვის შემთვევაში.
- ადმინისტრაციული გადაცდომის შემთვევაში.

დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:
- ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

- ბ)უნივერსიტეტსა და დოქტორანტსა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.
- გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუ იგი დაასაბუთებს, რომ დოქტორანტი ვერ ართმევს თავს სასწავლო და კვლევით გეგმას და/ან სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს.

სადისერტაციო საბჭო

- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისადა ასოცირებული პროფესორისაგან.

დისერტაციის პარამეტრები

- **მოცულობა: 150-250 გვერდი**
- შრიფტი: Acad Nusx, Sylfaen
- შრიფტოს ზომა: 12
- სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5
- გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.
- დეტალური ინფორმაცია:

  ინსტრუქცია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

გამოქვეყნებული ნაშრომები

- დოქტორანტს მოეთხოვება მინიმუმ სამი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება.
- ციტატა დოქტორანტურის დებულებიდან:

დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი 3 პუბლიკაცია მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე რეცენზირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილი 3 სტატიის ან 2 სტატიისა და ერთი მონოგრაფიის სახით, რომელსაც ჰყავს შესაბამისი დარგის კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტები. სტატიებიდან ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

- მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალები ან სამეცნერო კრებულები:
- საუნივერსიტეტო გამოცემები

ინტერნაციონალიზაცია

- ციტატა დოქტორანტურის დებულებიდან:

დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია

- არის დოქტორანტურის სავალდებულო კომპონენტი;
- ინტერნაციონალიზაციის გავლა სავალდებულოა ყველა დოქტორანტისათვის დოქტორანტურის სწავლის განმავლობაში;
- ინტერნაციონალიზაცია არის სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო ხელმისაწვდომობა.

ინტერნაციონალიზაცია

- ინტერნაციონალიზაცია, ანუ სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო ხელმისაწვდომობა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს ერთ-ერთი.

სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია:

- 1. დოქტორანტს ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;
- 2. უცხოეთში, რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემაში დისერტაციის თემაზე ნაშრომის გამოქვეყნებას;

სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია:

- 3. საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირეულს რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში დისერტაციის თემაზე ნაშრომის გამოქვეყნებას;
- 4. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გადაცემული ერთი სტატიის საერთაშორისო რეცენზირებას ანონიმ ექსპერტებთან.
- რეცენზირების წესი იხ. თსუ ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/252011_danarti4.pdf
- 5. დასწრებული მონაწილეობა უცხოეთში გამართულ კონფერენციაში, სადაც მოხსენების მასალები გამოქვეყნებულია ბეჭდური ან ელექტრონული სახით.

ინტერნაციონალიზაცია ქართველოლოგიური დარგებისათვის:

- შესაძლებელია, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) უცხოენოვან სამეცნიერო ჟურნალში

სადისერტაციო მაცნე

- 30-40 გვერდიანი ნაშრომი ქართულ და ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე, სადაც ასახულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები.

დისერტაციის წინასწარი შეფასება

- დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს გამგეობა დარგობრივი სექციის წარდგინების საფუძველზე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს სულ მცირე ორ შემფასებელს (რეცენზენტს), რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის წერილობით რეცენზიას ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა

დისერტაციის წინასწარი შეფასება

- დისერტაციის შეფასება ხდება რეცენზენტთა დასკვნების საფუძველზე. თუ რეცენზენტთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია საჯარო დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

დისერტაციის წინასწარი შეფასება

- ორი რეცენზენტიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე რეცენზენტს; რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. მესამე რეცენზენტის დანიშვნის შემთხვევაში მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.

დისერტაციის წინასწარი შეფასება

- დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დაბრუნების ან დაცვაზე უარის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაციისმიღებახდება ხარვეზების გამოსწორების პირობით;

რეცენზენტი

- შემფასებლად (რეცენზენტებად) ინიშნება პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით აქვს პუბლიკაციები.
- შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე, დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;

რეცენზია

- რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ;

დისერტაციის დაცვა

- დისერტაციის დაცვა არის საჯარო; ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.

დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურისგან:

- ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (არა უმეტეს 30 წუთისა);
- ბ) რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
- გ) სამეცნიერო დისკუსია;
- დ)კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად, რომელსაც ესწრებიან მხოლოდ კომიის წევრები;
- ე)სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

დისერტაციის შეფსება:

- ა) ფრიადი (summa cum laude) –91% და მეტი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – 81-90%;
- გ) კარგი (cum laude) –71-80%;
- დ) საშუალო (bene) –61-70%;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) –51-60%;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) –41-50%;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 40% და ნაკლები.

ხარისხის მინიჭება

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

ხარისხის მინიჭების პროცედურა

- დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების გზით, სადისერტაციო საბჭოზე ხმათა უმრავლესობით.

ხარისხი და კვალიფიკაცია

- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად - მიმართულებების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

დოქტორის ხარისხის ბათილობა

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში. (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი ან სადისერტაციო საქმის წარმოებებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.)

დისერტაციის გამოქვეყნება

- დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

დოქტორის დიპლომი

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი.
- დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

გმადლობთ
ყურადღებისათვის!